პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

23 თებერვალი სამშაბათი 1971 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 45 (14955)



ეროვნული ბიბლიოთეკა

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

ლენინის ანდერძის ერთგულნი

საბჭოთა სახელმწიფოს მატიანეში სამუდამოდ ჩაიწერა მოვლენები და თარიღები, რომლებთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ხალხის საბრძოლო მამაცობა, დიდება და ძალიერება. ერთ-ერთი ასეთი ღირსშესანიშნავი თარიღია საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე.

1918 წლის 23 თებერვალს დაიწყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების გმირული საბრძოლო გზა. საბჭოთა ხალხი ამაყობს იმით, რომ საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომელიც დიდმა ლენინმა, კომუნისტურმა პარტიამ შექმნეს ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად, ღირსეულად გაატარეს საბრძოლო დროშები მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე, პირნათლად ასრულებდნენ და ასრულებენ თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას.

შეიარაღებული ძალების შექმნის 53 წლისთავი აღინიშნება დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში, რაც გამოიწვია ისტორიული მოვლენისათვის — სკკპ XXIV ყრილობისათვის მზადებამ. კანონიერი სიამაყის გრძნობას იწვევს ჩვენში მერვე ხუთწლედის წარმატებით შესრულება, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელება. მტკიცე ნაბიჯით მიდის ჩვენი სამშობლო კომუნისტური მშენებლობის გზით. მან დიდი წარმატებანი მოიპოვა ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაში. ამ მიღწევებში თავიანთი წვლილი შეიტანეს ორგზის ორდენოსანი საქართველოს მშრომელებმაც, რომელთა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს ეგებებიან. ასაო გრანდიოზულ პერსპექტივებს გვიხსნიან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი. მეცხრე ხუთწლიანი გეგმა იქნება კომუნიზმის გზით საბჭოთა საზოგადოების შემდგომი წინსვლის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი.

ვ. ი. ლენინისა და კომუნისტური პარტიის ისტორიული დასახურება ის არის, რომ შეიქმნა ახალი ტიპის სამხედრო ორგანიზაცია, რომელიც თავისი სოციალური ბუნებით, ისტორიული დანიშნულებით, ფუნქციებით, აგებულების ძირითადი პრინციპებითა და სულისკვეთებით ძირეულად განსხვავდებოდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა არმიებისაგან. წსოფლიო ისტორიაში წითელი არმია იყო პირველი ნამდვილად სახალხო არმია, მუშათა და გლეხთა არმია, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრის არმია, რომელიც ყოველთვის მზად არის სოციალიზმის დასაცავად, თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის შესასრულებლად.

1918 წლის თებერვლის დამლევს წითელი არმიის ახლად ჩამოყალიბებულმა ნაწილებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელ დამპყრობლებს, რომლებიც პეტროგრადისკენ მიიწევდნენ. 23 თებერვალს ფსკოვისა და ნარვის რაიონში, აგრეთვე ფრონტის სხვა მონაკვეთებზე გაფორტებული ბრძოლების შედეგად შეაჩერეს გერმანიის ჯარების შეტევა. მას შემდეგ 23 თებერვალი — მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო ნათლობის დღე ყოველწლიურად აღინიშნება, როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული.

წითელი არმიის გამარჯვებამ ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე განამტკიცა საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა. სოციალიზმმა მოიგო პირველი გადამწყვეტი ბრძოლა კაპიტალიზმის ძალთან.

სამოქალაქო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ საბჭოთა ქვეყანას შეაძლებლობა მისცა უფრო გულმოდგინედ დაეწყო მუშაობა სოციალისტური მშენებლობის საკითხებზე. ამასთანავე ნათელი იყო, რომ იმპერიალისტები კვლავ ეცდებიდნენ მსოფლიოს პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მოსპობას. კომუნისტური პარტია, რომელიც წმიდად იცავდა ლენინის ანდერძს, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე დაუცხრომლად ზრუნავდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, ჩვენი შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფოს სიმტკიცის, ანადგურებდნენ მის რჩეულ დივიზიებს. მომავალ თაობებს მუდამ ეხსომებათ ბრესტის ციხე-სიმაგრის, პეტროგრადის, ტალინის, მოგილიოვის, გმირი ქალაქების — ლენინგრადის, კიევის, ოდესის, სევასტოპოლის დამცველთა ვაჟკაცობისა და მამაცობის უბადლო ნიმუშები. ბრძოლების ველებზე საბჭოთა მეომრები ცხადყოფდნენ უმაგალითო მასობრივ გმირობას, განსაკუთრებულ თავდადებას, ჩინებულ საბრძოლო ოსტატობას.

დიდი ოსტატობა გამოავლინეს ჩვენმა მეთაურებმა და მხედართმთავრებმა. საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებული ოპერაციები სამართლიანად გადაიქცა კლასიკურად. ამ ოპერაციებში ჩაქსოვილი იყო საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის ნოვატორული შემოქმედებითი აზრი.

ომის დაწყებითი პერიოდის გადამწყვეტი მოვლენა გახდა ისტორიული ბრძოლა მოსკოვის მისადგომებთან, თოფულმა ჩვენი სამშობლოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საბრძოლო მოქმედება მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ და მოკლე ვადაში გაანადგურეს კვანტუნის არმია, რითაც დაარტყეს მეორე მსოფლიო ომის დამთავრება, უდიდესი დახმარება გაუწიეს ჩინეთის, კორეისა და ვიეტნამის რევოლუციურ ძალებს, სახალხო რევოლუციათა გამარჯვებას ამ ქვეყნებში.

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა აგრესორთა სრული განადგურებით. და ეს ჩვენი შეიარაღებული ძალების მთავარი დამსახურებაა. მათი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, პარტიისადმი, კომუნიზმის საქმისადმი ყველაზე მკაფიოდ გამოხატა მასობრივმა გმირობამ.

ნიკოლოზ გასტელოს გმირობა, რომელმაც თავისი ალმოდებული თვითმფრინავი მტრის მანქანების კოლონაში ჩაარგო, ომის წლებში თითქმის 80-ჯერ განმეორდა; 200-ზე მეტმა მეომარმა, ისევე როგორც ალექსანდრე მატროსოვმა, თავიანთი სხეულით დაუხერეს მტრის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილს ამბრაზურა. მათ შორის იყვნენ პ. გუტვინი, გ. პეტრიაშვილი და გ. კუხარენკო — ამიერკავკასიის ფრონტის მეომრები. მამაცობისა და თავდადებისათვის 7 მილიონზე მეტი მეომარი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. 11.500-ზე მეტ კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ბევრ შენაერთსა და ნაწილს მიენიჭა ქალაქების საპატიო სახელწოდებანი, ასობით შენაერთი გვარდიელი გახდა, ათასობით მათგანს დროშას ორდენები ამშვენებს.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებას, იმპერიალიზმის დანკერკელ ძალებზე — გერმანიის ფაშიზმსა და იაპონის მილიტარიზმზე თავიანი მნიშვნელობითა და ეფექტებით ბადალი არა აქვს ისტორიაში. მან მთელ მსოფლიოს დაანახვა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების უძლეველი ძალა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ დაჩქარა კაპიტალიზმის ძირმამალი სისტემის ნგრევის პროცესი, განამტკიცა მსოფლიოს სოციალური განახლების ძირითადი ბაზა, გააძლიერა სოციალიზმის საერთაშორისო ავტორიტეტი და გავლენა.

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •

სურათზე: სწავლების ადგილზე რაკეტები ზუსტად დანიშნულ დროს მოვიდნენ.

საკადესის ფოტოქრონიკა.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1971 წ. 23 თებერვალი № 28 ქ. მოსკოვი

ამხანაგებო, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებო!

ამხანაგებო, არმიისა და ფლოტის ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მეომრები ზეიმით აღნიშნავენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 53-ე წლისთავს.

ეს დღესასწაული წელს აღინიშნება სკკპ XXIV ყრილობის წინ, რომელიც დიდი მოვლენა იქნება კომუნისტური პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

საბჭოთა ადამიანები, რომლებმაც წარმატებით შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა და განამტკიცეს ლენინის საიუბილეო წელს მოპოვებულ წარმატებებს, შეუპოვრად შრომობენ ახალი ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების განსახორციელებლად. ემზადებიან იმისათვის, რომ დირსეულად შეხვდნენ მშობლიური პარტიის ყრილობას. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით მაღლდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, კიდევ უფრო ვითარდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგი. უმჯობესდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა და კულტურა. მტკიცდება ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება.

ჩვენი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფისათვის ყოველდღიური ზრუნვით არის გამსჭვალული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური საგარეო პოლიტიკა. ეგი მიზნად ისახავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებასა და განვითარებას, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებას, ხალხთა თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და უშიშროების საქმის დაცვას.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეოპოლიტიკურ კურსს წინააღმდეგობას უწევს საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელიც აძლიერებს დაძაბულობას, ქმნის კრიზისულ სიტუაციებს დედამიწის სხვადასხვა რაიონში. ძლიერდება ამერიკის შეერთებული შტატების ბარბაროსული ინტერვენცია ინდოჩინეთის მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ. ისრაელი დამპყრობლები, რომლებსაც მხარს უჭერენ ოკეანესგაღმელი მფარველნი, აბრკოლებენ ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებას. ევროპაში ვითარების გაჯანსაღებას სერიოზულად აფერხებს ნატოს აგრესიული ბლოკის, დასავლეთ გერმანიის რევანშისტული და ნეონაციისტური ძალების მოქმედება.

ამ პირობებში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ საჭირო ღონისძიებებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზეწოდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

არმიისა და ფლოტის თადარიგის და გადამდგარ გენერალებო!

ვილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 53-ე წლისთავს.

დღენიადაგ სრულყავით შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა, დაიცავით და ამრავლეთ მათი საუნლოვანი საბრძოლო ტრადიციები, განამტკიცეთ ინტერნაციონალური მეგობრობა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების არმიათა მეომრებთან. დაუცხრომლად და ბეჯითად დაეუფლეთ თქვენთვის მონდობილ საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, მუდამ მზად იყავით იმისათვის, რომ პირნათლად შეასრულოთ თქვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობა.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 53-ე წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 23 თებერვალს, 20 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს სადღესასწაულო ფეიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების 53-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი სსრ კავშირის მარშალი ა. გრეჩკო.

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებას, საბჭოთა კავშირის საგეგმო ორგანოების ყველა მუშაკს

ჭეშმარიტ ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ორმოცდაათი წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრების მონაწილეებს, საბჭოთა სახელმწიფოს საგეგმო ორგანოების ყველა მუშაკს ამ ღირსსახსოვარ თარიღს.

1921 წლის 22 თებერვალს ვ. ი. ლენინის ინიციატივით მიღებულმა დეკრეტმა სახელმწიფო საერთო-საგეგმო კომისიის შექმნის შესახებ დასაბამი მისცა სახალხო მეურნეობის გაძღოლის ორგანიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით ერთიანი გეგმის საფუძველზე. საბჭოთა ადამიანები მიღწეულ წარმატებათა ღრმა კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ დღეს სოციალისტური დაგეგმვის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს, ეკონომიკის განვითარების მარქსიზ პრინციპების შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გამარჯვებას.

კომუნისტური პარტია დიდად ზრუნავს დაგეგმვის სრულყოფისათვის, მისი, როგორც სამეურნეო ხელმძღვანელობის ძირითადი მეთოდის, როლის ამაღლებისათვის. სახალხო-სამეურნეო გეგმები, რომლებიც კომუნისტური პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას გამოხატავენ, ახალი საზოგადოების მშენებლობის ყველა ეტაპზე მაორგანიზებელი და მამობილიზებელი ძალა იყო უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და სოციალური ამოცანების გადასაჭრელად.

საბჭოთა ეკონომიკის ზრდის სწრაფი და მყარი ტემპი, მეცნიერებისა და კულტურის აყვავება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება ცხადყოფს მეურნეობის სოციალისტური გეგმიანი სისტემის უდიდეს შემოქმედებითს შესაძლებლობებსა და უპირატესობებს. მრავალი წლის პრაქტიკამ გამდიდრებულმა სოციალისტური დაგეგმვის ლენინურმა თეორიამ და ეკონომიური მშენებლობის საბჭოურმა გამოცდილებამ მსოფლიო მნიშვნელობა მოიპოვეს, ხალხთა კუთვნილებად იქცნენ.

ჩვენი ხალხი, რომელმაც წარმატებით დაამთავრა მერვე ხუთწლედი, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით ეგებება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. გაითვალისწინებს რა ქვეყნის განვითარების მიღწეულ დონეს, ყრილობა განსაზღვრავს დაწყებული ხუთწლედის სამუშაოთა ფართო პროგრამას. ეს იქნება დიდმნიშვნელოვანი ეტაპი კომუნიზმის გზით ჩვენი საზოგადოების წინსვლაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებაში. მეცხრე ხუთწლედის მთავარი ამოცანა, როგორც აღნიშნულია დირექტივების პროექტში, ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე.

დირექტივების პროექტს რომ განიხილავენ, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ პარტიის წინასწარდასახულობებს, გამოხატავენ თავიანთ ნებასა და მტკიცე გადაწყვეტილებას — განახორციელონ ისინი.

საგეგმო ორგანოებს მოელით დიდი და პასუხსაგები მუშაობა — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად დროულად დაამუშაონ ხუთწლიანი გეგმა და გააცნონ მისი დავალებანი სახალხო მეურნეობის ყველა რგოლს.

საჭიროა, რომ ჩვენი გეგმები ითვალისწინებდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა რაც შეიძლება ფართოდ გამოყენებას, მაქსიმალურად უწყობდნენ ხელს საწარმოო ფონდებისა და კაპიტალური დაბანდებების ამოგების გადიდებას, უზრუნველყოფდნენ საზოგადოებრივი წარმოების სტრუქტურის სრულყოფას, მისი ეფექტიანობის ყოველმხრივ ზრდას. უნდა გავაძლიეროთ პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების მეცნიერული დასაბუთება და შეწონასწორება, ოპტიმალურად შეკუთხამოთ ერთმანეთს ტერიტორიული და დარგობრივი დაგეგმვა. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ჩვენი სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაცია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოება სოციალისტურ ქვეყნებთან.

თანამედროვე პირობებში, როცა სახალხო მეურნეობის მართვის მთელ სისტემას წაუყენებული აქვს ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნები, საგეგმო ორგანოთა მუშაკები მოწოდებული არიან დღენიადაგ სრულყოფდნენ სოციალისტური დაგეგმვის პრაქტიკას, უფრო ღრმად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიურ თეორიას, აუმჯობესებდნენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ყველა საგეგმო ორგანოს მუშაკები კვლავაც მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ საბჭოთა საზოგადოების შემდგომ განვითარებას, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრის საქმეში.

დიდება გმირ საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინის დროშით კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 50 წლისთავი

22 თებერვალს, მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და ქვეყნის საგეგმო ორგანოების 50 წლისთავს.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ვ. ვ. გრიშინს, მ. ნ. სოლომენცევს,** რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებისადმი, საბჭოთა კავშირის საგეგმო ორგანოების ყველა მუშაკისადმი.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. კ. ბაიბაკოვმა. (საკდესი).

საქართველოს კომკავშირის XXIV ყრილობის დელეგატები

მედეა სარიშვილი,
ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხორეთ-მოედნის კოლმეურნეობის მეჩაიე

ქარტო დრიაევი,
ლენინგორის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის მექანიზატორი

ნარმატებით დასრულეს მერვე ხუთწლედი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხორეთ-მოედნის კოლმეურნეობის წევრებმა. მარტო შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა 527 ათასი მანეთს მიაღწია ნაცვლად დაგეგმილი 400 ათასი მანეთისა. სახელმწიფოს მიეყიდა 400 ტონა ჩაის ფოთოლი, გეგმა კი 352 ტონას ითვალისწინებდა. პირადად მე მოვკრიფე 4.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმის 150 პროცენტია.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის გაცნობამ ახალი ენერგია შემმატა. გადავწყვიტე ახალი ხუთწლედის პირველ წელს მოვკრიფო 5 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი და ამით მოსავლიანობის გეგმა 200 პროცენტით შევასრულო.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის სიუხვეში დიდია მექანიზატორთა წვლილი. ათეული წელია, რაც ამ პროფესიას ვემსახურები. გადაჭარბებით შევასრულე მინდვრის სამუშაოთა მეჯვე ხუთწლედის პირადი ხუთწლიანი გეგმა.

ახალ ხუთწლედში საგრძნობლად უნდა გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. ამ საქმის გადასაწყვეტად სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტი დიდ ამოცანებს უსახავს მექანიზატორებს. გადავწყვიტე წელს მიწის სამუშაოთა პირადი დავალება 150 პროცენტით შევასრულო, თვალსაჩინოებით მოვუარო ტრაქტორს, ამასთან საგრძნობლად დაეზოგო საწვავი და მინიმუმამდე დავიყვანო მანქანის მოცდენა.

საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატები

ალექსანდრე ბაბალიანი,
ბორჩალოს რაიონის სოფელ ბოლნისის „ბოლნისი“-ს ბრიგადა

ალექსანდრე ბოლქვაძე,
ბაღდათის რაიონის სოფელ ბოლქვის „ბოლქვი“-ს ბრიგადა

ბ ა ნ ნ ე ბ ი

ამხანაგებო, ბოლნისელ ბაბალიანი ბორჩალოს ბამბის ბრიგადის ბრიგადირია. ბოლქველ ბოლქვაძეს ბაღდათის ბალიანი ბალი ბადალი ბოლო ბალი ბოლოს ბალ-ბალ ბალ-ბალ ბალ-ბალ

გაანვიხილავთ დირექტივების პროექტს

საქართველო ახალ ხუთწლედში

თანმიმდევრულად ავამაღლოთ მშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის დონე, დავამთავროთ გადასვლა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე, განვახორციელოთ საბირო ზომები მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და მუშების მომზადებისა და კადრების გადამზადებისათვის ახალი ტექნიკის დანერგვასა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, — ვკითხულობთ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის თაობაზე სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტში.

დირექტივების პროექტში ფართოდ არის მოცემული ის დიდი ძვრები, რაც მოხდა გასული ხუთწლედის წლებში სახალხო განათლების ფრონტზე. ამაღლდა მოსახლეობის ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონე, თანმიმდევრულად ხორციელდებოდა გადასვლა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე. აშენდა სკოლები 8,1 მილიონი მოსწავლისათვის და სკოლამდელი დაწესებულებანი 2,5 მილიონი ბავშვისათვის. ფართოდ გაიშალა მუშაობა სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის იმ დავალებათა განხორციელების გზით, რაც დაგვისახა პარტიის XXIII ყრილობამ. მეცხრე ხუთწლიანი გეგმა დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება სახალხო განათლების შემდგომ წინსვლაში.

როგორია ჩვენი რესპუბლიკის სკოლების მდგომარეობა, როგორ ვხვდებით ამ მხრივ საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას, რომელიც ამ დღეებში შეუდგება მუშაობას? — აი კითხვა, რითაც „კომუნისტის“ თანამშრომელმა მიმართა საქართველოს სსრ განათლების მინისტრს, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატს ამხ. თამარ ლაშქარაშვილს. ქვემოთ მოგვაცეს მინისტრის ნამბობი.

ცნობილია, რომ კომუნისტური პარტია ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყოველ ეტაპზე ნათლად განსაზღვრავდა სკოლის ამოცანებს. პარტიის XXIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურულ-ტექნიკური დონის შემდგომ ამაღლებას. აქედან გამომდინარე პარტიის ყრილობამ დააყენა დიდი პოლიტიკური და ეკონომიური მნიშვნელობის ამოცანა — მე-8 ხუთწლედში ძირითადად დამთავრებულიყო ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა.

დასასრულს უახლოვდება XX საუკუნე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმის გამარჯვების, მეცნიერებასა და ტექნიკაში დიდი აღმოჩენების საუკუნე. XXI საუკუნე იქნება კიდევ უფრო მძლავრი ტექნიკური გარდაქმნების, მეცნიერებაში არნახული აღმოჩენების, კომუნიზმის გამარჯვების საუკუნე. ამ საუკუნის აქტიური შემოქმედი იქნება ის, ვინც დღეს მერხს უზის, ვინც ხვალ პირველად შეაღებს სკოლის კარებს. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის ამოცანის განხორციელებას და სახალხო განათლების მთელი სისტემის სრულყოფას.

საქართველოში სახალხო განათლების დარგში პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების განხორციელებაში თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს მოპოვებული.

ამჟამად რესპუბლიკის 4500 ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მილიონზე მეტი მოსწავლე ირიცხება. მარტო გასული ხუთწლედის განმავლობაში მოსწავლეთა რიცხვი 120.000-ით გაიზარდა, საშუალო სკოლების რიცხვი კი 252-ით, ანუ 20,3 პროცენტით. მოზარდი თაობის სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილურ საქმეს 73.000-მდე მასწავლებელი ემსახურება, მათ შორის 49.000-ზე მეტს უმაღლესი პედაგოგიური განათლება აქვს (67,3 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ ყოველი მესამე მასწავლებელი სკკპ წევრია. ინტელიგენციის ეს მძლავრი რაზმი მოწოდებულია აღზარდოს ჩვენი საზოგადოების აქტიური მშენებლები, ჩამოიყალიბოს მათში მაღალი, კომუნისტური შეგნებულობა, მოამზადოს მოსწავლე ახალგაზრდობა ცხოვრებისათვის, მომავალი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის.

დიდი მუშაობა ტარდება რესპუბლიკაში სკოლების მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად. გასულ ხუთწლედში საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯზე აგებული იქნა 243 სასკოლო შენობა 103 ათასი მოსწავლისათვის. ამით ხუთწლედის გეგმა სასკოლო მშენებლობის დარგში შესრულებულია 111 პროცენტით, ეს იმ დიდი ყურადღების შედეგია, რასაც იჩენენ პარტიული და საბჭოთა ორგანოები, სამშენებლო ორგანიზაციები, განსაკუთრებით რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტრო.

დირექტივების პროექტს კომენტარს უკეთებს

თამარ ლაშქარაშვილი,

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატი

ჩვენ, განათლების მუშაკებს გვახარებს პარტიული და საბჭოთა ორგანოების შეუნელებელი ყურადღება და მზრუნველობა, რასაც ისინი სკოლისადმი იჩენენ. ძნელია დასასახელო ქალაქი ან რაიონი, სადაც აღგილობრივი ხელმძღვანელობა არ ზრუნავდეს სახალხო განათლების საკითხებზე, ქმედით დახმარებას არ უწევდეს სკოლას. ზრუნვა სკოლისათვის ჩვენში საყოველთაო სახალხო საქმედ გადაიქცა.

წარმატებით ხორციელდება პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. საკმარისია აღინიშნოს, რომ რვაკლასდამთავრებულთა ყოველი 100 ახალგაზრდიდან 98 აგრძელებს სწავლას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ან პროფტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებები გაგვაჩნია საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განხორციელებაში. რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში, სხვადასხვა მიზეზების გამო, ბავშვები ტოვებენ სკოლას რვა კლასის დამთავრებამდე. ამიტომ საჭიროა უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება. მაგალითად, პარტიის თბილისის კომიტეტი სისტემატურად უბრუნდება ამ საკითხს და მკაცრად მოითხოვს პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და განათლების მუშაკებისაგან საყოველთაო სავალდებულო სწავლების განუხრელად შესრულებას.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ივლისის პლენუმის (1970 წ.) გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდი როლი ეკისრება სოფლის სკოლას, რომელმაც სოფლის მეურნეობას უნდა მოუმზადოს კვალიფიციური კადრები.

სოფლის მეურნეობის მექანიზატორთა კადრების მომზადების შემდგომი გაფართოების შესახებ მთავრობის დადგენილების განსახორციელებლად — მიმდინარე სასწავლო წლიდან სოფლის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სადაც სათანადო პირობებია შექმნილი, შემოღებულია უფროსი კლასების მოსწავლეთა მიერ ტრაქტორის, კომბაინის და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, აგრეთვე აგროტექნიკისა და მეცხოველეობის შესწავლა.

ამ ღონისძიების განხორციელება დიდ მუშაობას მოითხოვს როგორც სკოლების, განათლების ორგანოების, ასევე სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მხრივ.

მოსწავლეთა ჩაბმას სასოფლო-სამეურნეო შრომაში მნიშვნელოვნად უწყობს ხელს აგრეთვე საცდელი მუშაობა.

უნდა გავაძლიეროთ მუშაობა, როგორც დირექტივების პროექტია აღნიშნული, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის ახალგაზრდობის მიდრეკილებათა და კვალიფიციურ კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით.

ბორის რაიონის კარალეთის საშუალო სკოლის ოთხმა ბრიგადამ გასულ წელს 2140 შრომადღე გამოიმუშავა. ისევე რაიონის ფლავის საშუალო სკოლის 45 კურსდამთავრებულიდან 40 ახალგაზრდა წარმატებით შრომობს კოლმეურნეობაში. თელავის რაიონის ფშავლის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა მექანიზატორად მუშაობს კოლმეურნეობაში.

განვლილი ხუთი წლის განმავლობაში, რომელიც გვაშორებს პარტიის XXIII ყრილობას, მთელი რიგი ღონისძიებები განხორციელდა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისათვის. ამ ღონისძიებებს შორის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლა, რომელიც თვით ცხოვრების მიერ არის ნაკარნახევი. სწავლების შინაარსი თანამედროვე მეცნიერების დონეს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. ახალ სასწავლო პროგრამებზე გადასვლა ძირითადად 1974-1975 სასწავლო წელს უნდა დავამთავროთ. ეს „ძალიან რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს არა მარტო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების გადამუშავებას, შედგენას, გამოცემას, ყველა მასწავლებლის გადამზადებას, არამედ მთელი სასწავლო პროცესის მოდერნიზაციას.

პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შედგენაში დადამარებას გვიწევენ უმაღლესი სკოლების მუშაკები, მეცნიერები. ყველა პედაგოგიურ ინსტიტუტთან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შექმნილია ახალი პროგრამებით მომუშავე მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები. ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისა და მისი ფილიალების მიერ და პედაგოგიურ ინსტიტუტებთან მოწყობილ კურსებზე გადამზადდა 23.000-ზე მეტი მასწავლებელი და განათლების დარგის სხვა მუშაკი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მასწავლებელთა დასახმარებლად „გამოდის ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატებანი, მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ არ არის მოგვარებული მეთოდური ლიტერატურის გამოცემის საქმე, რაც დაჩქარებით უნდა გამოსწორდეს.

პარტიისა და მთავრობის მშობლიური მზრუნველობით გასულ ხუთწლედში სახალხო განათლების დარგში მიღწეული წარმატებები იმის პრობლემა, რომ ისევე წარმატებით იქნას განხორციელებული მეცხრე ხუთწლედის დირექტივების პროექტით გათვალისწინებული დავალებანი. ეს უპირველეს ყოვლისა შეეხება საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დამთავრებას. მიღწეულ იქნება სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შემდგომი სრულყოფა, პედაგოგთა კადრების მომზადების ხარისხისა და მათი კვალიფიკაციის დონის ამაღლება, სკოლების, განსაკუთრებით სოფლად, სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და თანამედროვე მოწყობილობით და სწავლების ტექნიკური საშუალებებით მათი აღჭურვა.

საქართველოში მოსწავლეთა რაოდენობა 1975 წლისათვის 1.058.000-მდე გაიზრდება, სასკოლო მშენებლობა 1971-1975 წლებში განხორციელდება ისე, რომ გვექნება კიდევ 136.000 მოსწავლის ადგილი. მნიშვნელოვნად გადიდდება სასკოლო ინტერნატების ქსელი სოფლად. მომავალ ხუთწლედში სკოლების კაბინეტების მოწყობაზე ბევრად უფრო მეტი თანხა დაიხარჯება, ვიდრე გასულ ხუთწლედში; თვალსაჩინოების სამსახურში ჩადგება ტელევიზორები, კინოაპარატები, სხვადასხვა სახის მანქანები და დანადგარები. მოსწავლეთა გულს გაახარებს ლითონის კარკასისა და ხისაგან დამზადებული ახალი ტიპის ასეულ ათასობით მერხი. ხუთწლიანი გეგმით დამზადდება 10.184.000 მანეთის სასკოლო ინვენტარი და 2.170.500 მანეთის ავეჯი.

ჩვენს წინაშე შემოქმედებითი მუშაობის ფართო ჰორიზონტი გადაშლილი. საქართველოს სკოლებმა უნდა შესძლონ და კიდევაც შესძლებენ შემდგომაც ჯეროვან დონეზე დააყენონ კომუნიზმის მომავალ მშენებლობა სწავლა-აღზრდის საქმე.

სულ მაღე მუშაობას შეუდგება საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობა; შორს არ არის სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღე, ყრილობისა, რომლის დირექტივების პროექტიც წინ გვიდევს განსახილველად. მაღე ვიზიმემთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს. ჩვენი ვალია ღირსეულად შევხვდეთ ყველა ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას.

საყოველთაო საშუალო...

ჩვენი ინტერვიუ

განიხილავენ, იწონებენ...

● ხუთწლიანი გეგმის პროექტი სხვა დიდ ამოცანებთან ერთად პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხსაც აყენებს. ჩვენი ფაბრიკა ძირითადად უშვებს ქალისა და სკოლამდელი ასაკის გოგონას პალტოებსა და კაბებს. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და ასორტიმენტის გაფართოებას. შედეგი ცუდი როდი გვაქვს, მაგრამ არის ერთეული შემთხვევები, როცა ფაბრიკიდან უხარისხო პროდუქცია იპარება. ეს იმის შედეგია, რომ ყველა ერთნაირი მონდომებით არ შრომობს. ზოგჯერ კონტროლიორებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან მიწოდებილ საქმეს.

ფაბრიკაში ბევრმა მუშამ მოიპოვა პირადი დამღის უფლება. მათს ნახელავს წუნს ვერავინ დასდებს. გადავწყვიტეთ საწარმოში გავაფართოოთ ბრძოლა პირადი დამღის მოსაპოვებლად, ამით შემცირდება კონტროლიორის შტატი და საწარმო ათეულ ათასობით მანეთ ეკონომიას მიიღებს.

რ. სოკურაშვილი,

თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის დელეგატი.

● თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა ამ დარგის ყველაზე დიდი საწარმოა საქართველოში. რესპუბლიკაში ფეხსაცმლის წარმოების ნახევარზე მეტს ჩვენი ფაბრიკა უშვებს. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია საწარმოში პროდუქციის წარმოება მილიონი წყვილით გაზრდის. ჩვენ ამას შევასრულებთ, მაგრამ რაოდენობრივ ზრდასთან ერთად საჭიროა ხარისხის ამაღლება. ამ საქმეში კი, დასამალავი არაფერია, ჯერჯერობით მოვკოჭლებთ.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის განხილვის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ განვახორციელოთ გადამჭრელი ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის. დროა გამოვუშვათ ფეხსაცმელი, რომელსაც მომხმარებელი ზურგს კი არ შეაქცევს, სიამოვნებით იყიდის და მარჯვენას დაულოცავს მის შემკერავს.

ნ. რუსაძე,

თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის ოსტატი.

● მცხეთის რაიონის სოფლის მშრომელები გულდასმით განიხილავენ პარტიის XXIV ყრილობის დირექტივების პროექტს, მხურვალედ იწონებენ მას, სახავენ წინსვლის ღონისძიებებს და უფრო აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. ასეა მუხრანის, საგურამოს, ძალისის კოლმეურნეობებსა და რაიონის საბჭოთა მეურნეობებში.

რაიონის მშრომელები აყენებენ ზოგიერთ წინადადებას. მაგალითად, დირექტივების პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველოში უნდა **გავზარდოთ ყურძნის წარმოება.** კარგი იქნებოდა პროექტში კონკრეტულად ყოფილიყო მითითებული, **როგორ უნდა განვითარდეს მევენახეობა სსრ კავშირში და კერძოდ, საქართველოში.** ეს საჭიროა რადგან მევენახეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ძირითად დარგს წარმოადგენს. **მეორე:** პროექტში არაფერია ნათქვამი მევენახეობაში მექანიზაციის დანერგვაზე. **კარგი იყო ცალკე გამოგვეყო მექანიზაცია მევენახეობაში.**

ა. რაზმაძე,

მცხეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი.

● ყვარელი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და საწარმო-დაწესებულებებში ამჟამად საუბრის მთავარი თემაა „სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“.

ახალოფლის, გავაზის, ჭიკაანის, ბილდის კოლმეურნეობებში და ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში აგიტატორები ეწვევიან ვენახებს, სადაც კოლმეურნეები ახლა მსმენელნი არიან გასული სამუშაოდ. აგიტატორის საუბრის შემდეგ ჭიკაანის კოლმეურნეობის მევენახემ სოციალისტური შრომის გმირმა ალ. ჯიხვაძემ თქვა:

— ჩემი და ჩემი ოთხი შვილის ოჯახის ყველა შრომისუნარიანი წევრი ვიღებთ მონაწილეობას საკოლმეურნეო დოვლათის შექმნაში. გასულ ხუთწლედში თავი არავის შეგვირცხვენია და ახალ ხუთწლედში კიდევ უფრო მეტი ენერგიით ვიშრომებთ. პირადად მე იმისათვის ვიბრძოლებ, რომ ბრიგადაში, სადაც მუშაობა მიხდება, ჰექტარზე საშუალოდ 100-120 ცენტნერი ყურძენი მოვიყვანოთ.

ბუღუმბურა

საგჭოთა ექიმები ბურუნდში

21 თებერვალი. საკ. ინფორმ. კორესპონდენტი ვ. ივსეევი გვატყობინებს:

990 ოპერაცია გაკეთა ბურუნდის დედაქალაქის პოსპიტალში ორი წლის მუშაობის მანძილზე ქუთაისელმა ექიმმა ოტოლარინგოლოგმა ზურაბ ჭიჭინაძემ. ამ დროის მანძილზე მისმა ომსკელმა კოლეგამ, თვალის დაავადებათა სპეციალისტმა ვასილ გულკომ კონსულტაცია გაუწია 52.000 ბურუნდელს. ორი საბჭოთა მედიკი, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი კეთილშობილური მისია, სამშობლოში ბრუნდება. მათ ადგილზე სამუშაოდ, აფრიკის ამ ახალგაზრდა რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით, ჩამოვიდნენ კრასნოიარსკელი გენიალი ბურენკოვი და ლენინგრადელი მარიან ივანოვა.

მესამე წელია ღირსეულად მუშაობენ ბუღუმბურის მოსპიტლებში, კიტეგისა და ნგოზის პროვინციებში ფსიქიატრი ვლადიმერ ხეკარი და ალექსანდრე მალიშევი მოსკოვის ოლქიდან, კუბის დაავადებათა სპეციალისტი ლვოველი ვლადიმერ ეკდოკიმოვი, მოსკოველი ნატალია დემიდჩიკი და ნინო კუდრიავცევა.

ზურაბ ჭიჭინაძისა და ვასილ გულკოს პატივსაცემად და ბურუნდში საბჭოთა ექიმების ახალი ჯგუფის ჩამოსვლის აღსანიშნავად სსრ კავშირის ელჩმა ბურუნდის რესპუბლიკაში ა. ფ. ნაუმოვმა გუშინ გამართა დარბაზობა, რომელზეც იყვნენ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი შარლ ბუტარიხო, სოციალურ საქმეთა მინისტრი უან-ჩრისოსტომე ბანდიამბონა, ბურუნდის ხალხგადო მოღვაწეები და ეკონომისტები. დარბაზობაზე სსრ კავშირის ელჩმა ა. ფ. ნაუმოვმა და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა შარლ ბუტარიხომ წარმოთქვეს სიტყვები, რომლებშიც ხაზგასმით აღინიშნეს იმ მეგობრული უანგარო დახმარების მნიშვნელობა, რომელსაც საბჭოთა მთავრობა უწევს ბურუნდის რესპუბლიკას მედიცინის დარგში.

ქრთამების ამბავი

22 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის დედაქალაქში მოხდა სკანდალი, რომლის შემდეგ ბევრისათვის საეჭვო გახდა „შტატების მამათა“ უცოდველობა.

ჯერ კიდევ 1968 წელს დასავლეთ ვირჯინიის შტატის ყოფილი გუბერნატორი უილიამ ბერონი, რომელსაც მექრთამეობა დადეს ბრალად, წარდგა დიდი ფედერალური უიურის წინაშე. მაგრამ მას ბრალდება მოხსნეს იმის გამო, რომ „არ იყო საკმაო დამამტკიცებელი საბუთები“. და მხოლოდ სამი წლის შემდეგ ვაშინგტონში დაადგინეს, რომ ნაფიც მსაჯულთა ასეთი გადაწყვეტილება საკმაოდ მარტივად აიხსნებოდა — მაღალი თანამდებობის თანლიმა 25.000 დოლარი მისცა ქრთამად თავისი განთავისუფლებისათვის დიდი ჟიურის ყოფილ თავმჯდომარეს რალფ ბაკელიუს.

ახლა სასამართლოს წინაშე წარდგნენ სამნი — ბერონი, მისი ცოლი და ბაკელიუ. ამ ბინძური საქმის გამოძიებას ხელი მოჰკიდა თვით ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა ჯონ მიტჩელმა.

ბერძენ ექიმებს ბურუნდში

ბერძენ ექიმებს ბურუნდში

სურათზე: კამბოჯელი ჯარისკაცები სასტიკად უსწორდებიან სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობიან მოსახლეობას, ბრალად სდებენ მათ პატრიოტულ ძალებთან მონაწილეობას. ხორციელდება ეგრეთ წოდებული „ვიეტნამიზაციის“ დოქტრინა — აზიელები აზიელების წინააღმდეგ.

ფოტო ჟურნალ „ვიქ ნიუსიდან“ (იტალია).

ლატიფუნდისტთა პროვოკაცია

ლიმა

22 თებერვალი. (საკდესი). უცნობმა პირებმა ბომბები ააფეთქეს ლიმის დეპარტამენტში პერუს გლეხთა კონფედერაციის ხელმძღვანელის, აგრეთვე მისი იურიდიული მრჩევლის სახლებთან. აფეთქების შედეგად სახლები ნაწილობრივ დაინგრა. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არავინ არ დაზარალებულა.

პროვოკაციამ მრისხანე პროტესტები გამოიწვია პერუელთა შორის. დეპარტამენტის მთელ რიგ ორგანიზაციათა ცნობით, ბომბები ააფეთქეს ლატიფუნდისტებმა, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ საბოტაჟი გაუწიონ აგრარული რეფორმის განხორციელებას პერუში.

ლონდონი

რასისტებს აიარაღებენ

20 თებერვალი. ინგლისის მთავრობამ მსოფლიოს საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად გადაწყვიტა განაახლოს სამხრეთაფრიკელი რასისტებისათვის იარაღის მიწოდება.

როგორც წერენ დღეს „ტაიმსი“, „დეილი ტელეგრაფი“ და ლონდონის სხვა გაზეთები, გასულ ორშაბათს ამის შესახებ ოფიციალური გადაწყვეტილება აცნობა ფორსტერის მთავრობას დიდი ბრიტანეთის ელჩმა სამხრეთაფრიკის რესპუბლიკაში. (საკდესი).

ტოკიო

პროგრესული ქალების გამარჯვება

22 თებერვალი. (საკდესი). **პროგრესული ქალების კანდიდატი მოტომი ფუნაბასი იაპონიის ძველი დედაქალაქის კიოტოს ახალი მერი გახდა.**

გუშინ კიოტოში გამართულ ქალაქის მერის არჩევნებში მიცემული ხმების დათვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ გიმარჯვა ფუნაბასიმ, რომელსაც მხარს უჭერდნენ კომუნისტური, სოციალისტური პარტიები და სხვა დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც „დემოკრატიული პოლიტიკის განხორციელებისათვის მებრძოლ საზოგადოებაში“ შედიან.

ტოკიო

ისრაელის ოპოზიციონისტული ოფიციალური

22 თებერვალი. (საკდესი). გუშინ აქ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მაჰმუდ ფაუზის თავმჯდომარეობით გაიმართა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა.

როგორც მენის სააგენტო იუწყება, სხდომაზე გამოსულმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. რიადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგვიპტის მთავრობის ამმასწინანდელ ნაბიჯებს, რომელთა მიზანია ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგება, იწონებენ და მხარს უჭერენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, რომლებიც ამავე დროს გმობენ ტელ-ავივის მმართველ წრეებს იმისათვის, რომ ისინი (ცდილობენ საბოტაჟი გაუწიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის გ. იარინგის მისიას ახლო აღმოსავლეთში.

მთავრობის სხდომის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრმა მუსამედ ფაიეკმა განაცხადა, რომ „ისრაელი არ ესწრაფვის დაამყაროს მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში, არამედ ცდილობს თავს მოახვიოს. არაბულ ქვეყნებს თავისი ექსპანსიონისტური პოლიტიკა“.

22 თებერვალი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგარეო კორესპონდენტი იუწყება იერუსალიმიდან, ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა გუშინ კვლავ დადასტურა, რომ ისრაელი არ აპირებს გაიყვანოს თავისი ჯარები საზღვრებზე, რომლებიც არსებობდა 1967 წლის 5 ივნისამდე, ესე იგი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ისრაელის აგრესიის დაწყებამდე.

„ყველაზე გარგაროსული ომი“

ვაშინგტონი

22 თებერვალი. (საკდესი). **სენატორმა ჯორჯ მაკგოვერნმა დაგმო ამერიკა-სამხრეთ ვიეტნამის აგრესია ნეიტრალური ლაოსის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ იგი იწვევს ომის გაფართოებას ინდოჩინეთში.**

მაკგოვერნმა, რომელიც პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატობის პრეტენდენტია დემოკრატიული პარტიისაგან, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვიეტნამის ომი „ყველაზე გარგაროსული და არადამინაურია“ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში.

გუშინ ტელევიზიით გამოსვლის დროს სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს შეინარჩუნოს საგონში ხელისუფლების სათავეში ნიეუ-კის რეჟიმი, რომელიც არ სარგებლობს ხალხის მხარდაჭერით. მაკგოვერნმა თქვა: „ვფიქრობ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კიდევ იმედოვნებს ომის გზით გადაჭრას ვიეტნამის პრობლემა“.

საგანგებო ღონისძიებათა პროგრამა

ტოკიო, 22 თებერვალი. (საკდესი). **ტოკიოს მუნიციპალიტეტმა დაიწყო საგანგებო ღონისძიებათა პროგრამის შემუშავება მოსალოდნელი დიდი მიწისძვრის გამო, იუწყება დღეს გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“.** გამოჩენილმა იაპონელმა სეისმოლოგებმა ამას წინათ განაცხადეს, რომ უახლოეს წლებში მოსალოდნელია ტოკიოსა და მიმდებარე რაიონებში მოჰქეს დიდი დამანგრეველი მიწისძვრა. ამგვარი მიწისძვრის მოსალოდნელობა 99,9 პროცენტია, აღნიშნავენ მეცნიერები.

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის უშიშროება უზრუნველყოს დედაქალაქის ძველ მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში, მოხალისე მეხანძრეთა რაზმების შექმნას, ამ რაზმების აღჭურვას თანამედროვე ხანძრსაწინააღმდეგო ტექნიკით.

რაზმების შესანახად ახალ სახიუჯიტო წელს გამოიყოფა 20 მილიონი იენი. აღნიშნა რა, რომ მიწისძვრის დროს ტოკიოს მოიცლის გზანადგურება ხანძრისაგან, მუნიციპალურმა სახანძრო სამმართველომ განაცხადა, რომ მოსალოდნელი „დიდი მიწისძვრის“ დროს ხანძარი 30 ადგილზე წარმოიშობა დედაქალაქში. ადგილობრივ ხელისუფლებს განზრახული აქვთ შექმნან აგრეთვე 35 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის ვრცელი ზონა მდინარე სუმიდაგავას რაიონში, სადაც გადაიყვანენ მოსახლეობას.

საერთაშორისო შენიშვნა

კრაზანების გუდე სოლსბერიში

სამხრეთ როდეზიის დედაქალაქ სოლსბერის ერთ-ერთ ფეშენებელურ სასტუმროში, რომელსაც როდეზიის საიდუმლო პოლიცია იცავს, ამ კვირაში გაიმართა ეგრეთ წოდებული „კუდიანთა კავშირის“ მონაწილეთა ქვეყნის — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, სამხრეთ როდეზიისა და პორტუგალიის დაზვერვათა და კონტრდაზვერვათა ხელმძღვანელების საიდუმლო შეხვედრა. პრეტორიიდან როდეზიის დედაქალაქში ჩამოვიდა პატარა, მაგრამ მეტად წარმომადგენლობითი დელეგაცია სამხრეთ როდეზიის სახელმწიფო უშიშროების ბიუროს შეფის ჰენდრიკ ვან დერ ბერგის მეთაურობით. ლისაბონმა იქ მიავლინა უშიშროების სამსახურის გენერალური დირექტორი აუგუსტო ანიმ დე ალმეიდა ე სილვა, აგრეთვე ანგოლასა და მოზამბიკში პორტუგალიის საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელები. შესაბამისად წარმოდგენილი იყვნენ მასპინძლებიც — როდეზიელი რასისტები.

როგორც მოსალოდნელი იყო „წამოსასხამისა და ხანჯლის რაინდების“ მოლაპარაკება მიმდინარეობდა უმკაცრესი საიდუმლოების ვითარებაში. საკმარისია ითქვას, რომ თათბირს დაესწრნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან და პორტუგალიიდან ჩამოსული „სტუმრები“, რაც პრესამ მხოლოდ მათი სოლსბერიდან გამგზავრების წინ შეიტყო.

ბევრი რამ მოწმობს, რომ „კუდიანთა კავშირში“ გაერთიანებული რასისტული სახელმწიფოები თავიანთ ბრძოლაში აფრიკის მკვიდრი მოსახლეობის წინააღმდეგ სულ უფრო მეტ იმედს ამყარებენ სწორედ ამ სადამსჯელო და დივერსიულ სამსახურებზე. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ სამხრეთ აფრიკის პარლამენტმა დაამტკიცა დიდი დამატებითი ასიგნებანი სახელმწიფო უშიშროების ბიუროს გასაფართოებლად, რომელსაც „სამხრეთ აფრიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს“ უწოდებენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ბიუროს ხელმძღვანელის პოსტზე დაინიშნა გენერალი ვან დერ ბერგი, რომელიც ერთ დროს აქტიურად თანამშრომლობდა ჰიტლერელ ნაცისტებთან. საიდუმლო და ბინძურ ომში აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებისა და კონტინენტის სამხრეთის განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ რასისტები არავითარ საშუალებას არ თაკილობენ. აფრიკას არ დავიწყებია, რა მხეცურად გაუსწორდა პორტუგალიის უშიშროების სამსახური თავისუფლებისათვის მოზამბიკელი ხალხის ბრძოლის ხელმძღვანელს ედერ ედუარდო მონდლანეს. პრეტორიის, სოლსბერისა და ლისაბონის დაქირავებულმა მკვლელებმა და საიდუმლო აგენტებმა დახოცეს ბევრი აფრიკელი პატრიოტი. სავსებით გამოირკვა, რომ რასისტული სახელმწიფოების საიდუმლო სამსახურები უშუალოდ მონაწილეობდნენ იმპერიალისტურ აგრესიაში გვინეის წინააღმდეგ, სიერა ლეონეს მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულებაში აფრიკის მთელი რიგი სხვა ქვეყნების რევანშიტურ სახელმწიფო გადატრიალებებში. (საკდესი).

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეა

მშვიდობის გუშაგი

(დასასრული)

ეს გამარჯვება მრისხანე გაფრთხილებაა იმპერიალისტური აგრესორებისადმი. ეს არის ისტორიის მკაცრი და დაუვიწყარი გაკვეთილი.

მაგრამ მთელი ომის შემდგომი წლების მანძილზე იმპერიალისტური ბანკის ღვარძლიანი იღეოლოგები და პოლიტიკოსები, რომლებიც ყოველნაირად ამახინჯებენ და აყალბებენ ფაქტებს, დაკინებით ცდილობენ საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი შეიარაღებული ძალების როლის დაკნინებას ჰიტლერული გერმანიის და მილიტარისტული იაპონიის განადგურებაში, ჩვენი გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის დამცირებას. ანტიკომუნისტები ცდილობენ ფართოდ გამოიყენონ ეს წინასწარგანზრახული სიყალბე საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ახალი სამხედრო აგანტიურების იდეოლოგიური მომზადების მიზნით.

იმპერიალიზმს არ დაუყრია იარაღი. იგი უფრო მტაცებლური და სისასტიკისმომელი გახდა. „აგრესორები აგრესორებად დარჩნენ, — ხაზგასმით აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ერთვაანად წარმოთქმულ სიტყვაში. — ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტრები არ გადაქცეულან კრავებად და კეთილ ფერიებად“.

იმპერიალიზმის ბრალია, რომ ხშირად იქმნება ხელოვნურ მწვავე საერთაშორისო კრიზისები, მწვიდობის საქმისათვის საშიში სიტუაციები. არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ, რომ იმპერიალისტები განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, ყველაზე გაქნილი მეთოდებით იბრძვიან სოციალისტური ქვეყნებისა და ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია ინდოჩინეთში, ისრაელის მოქმედება ახლო აღმოსავლეთში დამაჯერებლად მოწმობენ ამას.

მთავარი რეაქციული ძალა, რომელიც მსოფლიო ჟანდარმის როლს ასრულებს, არის ამერიკის იმპერიალიზმი. არასოდეს არც ერთ სახელმწიფოს არ უწამოქმედია ისოდენ დიდი სამხედრო მომზადება, როგორსაც ეწევა ახლა ამერიკის შეერთებული შტატები. სამხედრო მიზნების იგი ქვეყნის ბიუჯეტის დასნოლებით 70 პროცენტს ახმარს.

იმპერიალისტების მოქმედების ყოველმხრივი გაანალიზება გვიჩვენებს, რომ მათი აგრესიული მზადების მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ამ პირობებში ჩვენ მოგვეთხოვება უდიდესი სიფხიზლე და შუდმივი საბრძოლო მზადყოფნა. ეს სიფხიზლე გვიანდერძა პარტიისა და სახელმწიფოს ფუძემდებელმა და ბელადმა ვ. ი. ლენინმა.

ამჟამად საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მიზანი ის არის, რომ საიმედოდ დაიცვან კომუნიზმის შენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მოძმე არმიებთან ერთად უზრუნველყონ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის დაცვა, იყვნენ მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშრების მძლავრი ბურჯი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ასრულებენ რა ლენინის ანდერძს, დღენიადაგ ზრუნავენ არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის.

მერვე ხუთწლედში მოპოვებულ წარმატებათა საფუძველზე ახალ, უფრო მაღალ საფეხურს მიაღწია საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერებამ. ისინი აღჭურვილი არიან ატომური იარაღით, სხვადასხვაგვარი სიშორისა და დანიშნულების რაკეტებით, წყალქვეშა ატომური რაკეტმზიდი ნავებით, თანამედროვე ტანკებითა და თვითმფრინავებით, საბრძოლო მანქანებით, ავტომატიზებული მართვის საშუალებებით.

შეიარაღებული ძალებისათვის პარტიის ამ ზრუნვას დღენიადაგ გრძნობენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარებიც. მათ აქვთ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შესასრულონ თავიანთი ვალი საშობლოს წინაშე, გაანადგურონ მტერი.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 53 წლისთავს ოლქის ჯარები ახალი წარმატებებით ეგებებიან. სკკპ XXIV ყრილობის წინ ნაწილებსა და ქვედანაყოფებში ფართოდ გაჩაღდა მოძრაობა საბრძოლო სრულყოფაში ახალი მიჯნების მიღწევისათვის, რომლის ინიციატორები არიან მაიორ კატუკოვის ქვეგანყოფილების მეომრები.

საწვრთნელ მინდვრებსა და კლასებში, აეროდრომებსა და ტანკდრომებზე, სასროლეთებსა და პოლიგონებზე წარმოებს შეუპოვარი ბრძოლა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მაღალი მაჩვენებლებისათვის. ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები სრულყოფენ თავიანთ ოსტატობას, ეუფლებიან მთებში, დღისით და ღამით სხვადასხვა სახეობის თანამედროვე ბრძოლას.

მეომართა მხედრულ შრომას, მათს ენთუზიაზმსა და პოლიტიკურ აღმავლობას კარგი შედეგი მოაქვს.

შეჯიბრების დროს, რომელსაც მახასიათებელი ხასიათი მიენიჭა, ოლქის ჯარებში აღიზარდნენ ზუსტი სროლის ტანკერებისა და სხვა საბრძოლო მანქანების ბევრი ოსტატი, თანრიგოსანი სპორტსმენები, სამხედრო-სპორტული კომპლექსების ნიშნოსნები. 1970 წლის დამლეგისათვის ყოველი მესამე მეომარი გახდა საბრძოლო და პოლიტიკიური მომზადების ფრიადოსანი, ყოველი მეორე — კლასის სპეციალისტი.

საბჭოთა არმიისა და ფლოტის ძლიერებაა ურღვევი ერთიანობა ხალხთან.

ამერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს წელს კიდევ უფრო გაფართოვდა და განმტკიცდა საწარმოთა, კოლმეურნეობათა, სასწავლებელთა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების შემოქმედებითი კოლექტივების ტრადიციული საშფო კავშირ-ურთიერთობა ოლქის ნაწილებთან. ამ მეგობრობას ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს მეომართა კომუნისტური აღზრდის, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში, ხელს უწყობს ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვითი ძალის, საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

ახლა საბჭოთა შეიარაღებული ძალები განსაკუთრებით მძლავრი და უძლეველი ეგებება თავის 53 წლისთავს. ახლა როცა სკკპ XXIV ყრილობას ეგებებიან, მეომრები მზად არიან კვლავაც წმიდად შეასრულონ ლენინის ანდერძი სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ, პარტიისა და თავრობის ყოველგვარი დავალება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ინტერესების დაცვის შესახებ.

ხ. კურკოტკინი,

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი.

ლენინის ანდერძის ერთგულნი

ი ს ი ნ ი სამშობლოს იცავენ

ქეთილი ნების ადამიანები საბჭოთა არმიას მშვიდობის გუშაგს უწოდებენ. იგი გმირობის, თავდადების, კეთილშობილების, ეროვნულ-უფლების საუკეთესო, უბრწყინვალესი სკოლაა. ამიტომ ბევრი ჩვენი ახალგაზრდა დიდი სიხარულით მიდის საკალდებულო სამხედრო სამსახურში, რათა პირნათლად მოიხადოს წმიდათა წმინდა მოვალეობა სამშობლოს და ხალხის წინაშე.

სამხედრო ნაწილების მეთაურებისაგან მრავალი მადლობის წერილი მოსდით ჯარისკაცთა მშობლებს, იმ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებს, სადაც არმიაში გაწვევამდე მუშაობდნენ ახალგაზრდები.

ხობის რაიონის სოფელ ჯაპუჩარის მკვიდრმა ედემ კვარაცხელიამ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხობის სამშენებლო-სამონტაჟო კანტორაში მეჩანიზატორად. იგი 1969 წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. მისმა მშობლებმა შემდეგი სასიხარულო ბარათი მიიღეს იმ ნაწილიდან, სადაც ე. კვარაცხელია მსახურობს: „პატივცემულო ნ





ᲐᲮᲐᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲘᲓ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ
Ნ. ᲛᲣᲡᲮᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ —
ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ქართველი მეცნიერის, სოციალისტური შრომის გმირის ნიკოლოზ ივანეს-ძე მუსხელიშვილი — როგორც ჩვენი დროის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერი-მათემატიკოსის, ქართველ მათემატიკოსთა სკოლის შემქმნელის სახელი დღეს ცნობილია არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც.

ნ. მუსხელიშვილი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიების სრულიუფლებიანი წევრია და მიღებული აქვს მრავალი ჯილდო და სახელობითი მედალი.

ამ დღეებში კი, დაბადების 80 წლისთავზე, ჩვენს გამოჩენილ მეცნიერს გადასცეს სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი.

როგორც სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი შტეფან შვარცი იუწყება, ქართველი მეცნიერისათვის ამ უმაღლესი ჯილდოს მინიჭება განპირობა მისმა უდიდესმა დამსახურებამ სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის წინაშე. აი რას სწერს აკადემიკოსი შ. შვარცი ნ. მუსხელიშვილს: „სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, დააფასა რა თქვენი თვალსაჩინო სამეცნიერო მოღვაწეობა და დამსახურება სლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებთან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, მისი სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლობის განვითარებაში, საბჭოთა არმიის მიერ ჩეხოსლოვაკიის, განთავისუფლების 25 წლისთავთან დაკავშირებით დაგაჯილდოვათ უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით.

დიდად პატივცემულო პრეზიდენტო! — წერს დასასრულს შ. შვარცი, — ამის გამო ჩვენი აკადემიის კოლექტივი გულწრფელად გილოცავთ და ახალ წარმატებებს გისურვებთ შემდგომ მეცნიერულ მოღვაწეობაში. მწამს, რომ ჩვენი მეცნიერი მუშაკების თანამშრომლობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდება“.

სტალინგრადი, დიდების სიმბოლო!

საბჭოთა ხალხი დღეს აღნიშნავს თავისი შეიარაღებული ძალების — გმირი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს...

და ამ დღეს არ შეიძლება არ მოვიგონოთ დიდებით მოსილი საბჭოთა არმიის არსებობის ისტორიაში სამშობლოსათვის თავდადების ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელი — დიდი სამამულო ომის სტალინგრადის ეპოპეა.

135 დღის განმავლობაში, 1942 წლის 13 სექტემბრიდან 1943 წლის 26 იანვრამდე გამძაფრებული ბრძოლა იყო გაჩაღებული ფრონტის ამ უბანზე, რომელიც მამაის ყორღანზე გადიოდა. საბჭოთა ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა გაუგონარი გმირობა და მამაცობა გამოიჩინეს ამ ცხარე ბრძოლებში, გამძვინვარებულ მტერს არ დაუთმეს არც ერთი მტკაველი მიწა...

სტალინგრადის ეპოპეა საბჭოთა არმიის დიდი გამარჯვებით, გერმანელი ფაშისტთა რჩეული დივიზიების სრული განადგურებით დასრულდა 1943 წლის თებერვლის დამდეგს.

სტალინგრადთან ისტორიული გამარჯვების 25 წლისთავზე პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით დიდი ბრძოლების ადგილას — მამაის ყორღანზე შეიქმნა სამხედრო დიდების მემორიალური ძეგლი — სკულპტურულ და არქიტექტურულ ნაგებობათა ანსამბლი, რომლის ავტორია გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკე ნ. ვუჩეტიჩი.

ძეგლის გახსნის შემდეგ იგი მილიონობით ადამიანმა ინახულა. აქ არახოდეს არ წყდება ხალხის ნაკადი — მოდიან სამამულო ომის ვეტერანები, ახალგაზრდობა, უცხოელი სტუმრები, რათა კიდევ და კიდევ მოიგონონ, პატივი სცენ სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა წმიდათა წმიდა ხსოვნას.

ეს სურათები ჩვენმა ბათუმელმა ფოტოკორესპონდენტმა ს. ანეელიმ ამას წინათ გადაიღო. მარცხნივ — სკულპტურული ანსამბლის ერთი კუთხე; მარჯვნივ — დიდების დარბაზში.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲑᲐᲠᲗᲚᲐᲪ რომ ნაადრევი გაზაფხულის საამო ამინდი იდგა კვირას თბილისში. ასეთ დღეს აბა რა გაიჩერებდათ ფეხბურთის მოყვარულებს შინ, როცა დინამოელებს საკონტროლო მატჩი ჰქონდათ ლენინგრადელ თანაკლუბელებთან. რა თქმა უნდა, ყველას ინტერესებდა, როგორ გამოიყურება „დინამო“ ახალი სეზონის წინ, რა სიახლეებია მის რიგებში, როგორი შემადგენლობით გამოვიდოდა გუნდი და ბოლოს, როგორია მისი უახლესი გეგმა.

ასეთი მატჩით ერთბაშად ვერ განსაზღვრავთ გუნდის აკვარეალობას, ვერც ცალკეულ მოთამაშეზე იმსჯელებთ, და მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე დინამოელები ცუდად არ გამოიყურებიან. პირველ ნახევარში მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ, მეორე ტაიმი კი ბევრად გამოირჩეოდა პირველისაგან, როგორც თამაშის სანახაობითი მხარეებით, ისე შედეგიანობითაც.

ანგარიში თბილისელებმა გახსნეს. ეს მოხდა 48-ე წუთზე. მეტრეველის მიწოდებით ბურთი გავაშელმა გაიტანა. 20 წუთის შემდეგ სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს, ბოლოს კი კუტავაძემ საჯარიმო დარტყმით გადამწყვეტი ბურთი გაიტანა.

2:1— ასეთი ანგარიშით მოიგეს მასპინძლებმა ეს მატჩი.

თბილისელთა შემადგენლობაში იყვნენ — ურუშაძე, რეხვიაშვილი, ხუციელავა, ებრალიძე (რომელიც ქუთაისის „ტორპედოდან“ გადმოვიდა), ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტიავაძე, მაჩაიძე, მეტრეველი, გავაშელი, ლ. ნოდია.

მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ გუნდის უფროს მწვრთნელს გ. კაჩალინს. აი რა განაცხადა მან:

— ამ შეხვედრაზე არ შევჩერდები. ჩვენთვის მას წმინდა ვარჯიშის ხასიათი ჰქონდა. მთავარია ის, რომ კარზე მომდგარ დიდი ფეხბურთის სეზონს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ. მივემგზავრებით შავი ზღვის სანაპიროზე, კურორტ ლესელიძეში. განზრახული გვქონდა საკონტროლო მატჩი კიევის დინამოელებთან, მაგრამ ეს თამაში არ შედგება, რადგან კიეველები საზღვარგარეთ მიემგზავრებიან. ლესელიძეში 8 მარტამდე დავრჩებით, დაგეგმილი გვაქვს ორი საკონტროლო მატჩი, თუ ვისთან, ამას აქვითლზე გავარკვევთ. შემდეგ კი თბილისში დავბრუნდებით, ხოლო უკვე 16 მარტს მოგველის მატჩი სსრ კავშირის თასზე კუბოშევის „ქრილია სოვეტოვთან“.

Თ. ᲒᲐᲑᲔᲚᲘᲐ.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲩᲔᲛᲙᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐᲨᲘ

სპორტის სასახლე სამი დღის განმავლობაში კლასიკურ მოჭიდავეთა განკარგულებაში იყო. აქ მიმდინარეობდა თბილისის ღია ჩემპიონატი. სტარტზე გამოვიდა სხვადასხვა რესპუბლიკისა და ქალაქის 82 მოჭიდავე.

მთავარი ბრძოლა კვირას შედგა. ამ შეხვედრებიდან ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა გოგნაძისა (წონა 68 კილოგრამამდე) და რადჩენკოს (უკრაინა) ორთაბრძოლამ. 5 წუთსა და 20 წამში წმინდა გამარჯვება გოგნაძემ მოიპოვა.

აი საღამოს დანარჩენ შეხვედრათა ტექნიკური შედეგები: წონა 57 კილოგრამამდე — კოლოსოვი (ლატვია) — ესაიანი (სომხეთი) — ფრე; 62 კილოგრამამდე — ტატიშვილი — იაკუბეიჩი (ლატვია) — ქულებით ტატიშვილმა გაიმარჯვა; 74 კილოგრამამდე — სირბილაძე—ჭელიძე — ფრე; ასრიანცი (აზერბაიჯანი) — ჭელიძე — ფრე; 82 კილოგრამამდე — ტყემალაძე — ხანდოლიშვილი. ამ უკანასკნელმა ტრავმა მიიღო და გამარჯვება (წმინდა) მეტოქეს ჩაეთვალა; 100 კილოგრამამდე — ბაკოური (ლატვია) — ოტისონი (ლატვია) — ფრე; ძმიმე წონა — მორჩილაძე—სპირიდონოვი (უკრაინა) — ქულებით მორჩილაძემ გაიმარჯვა.

როდესაც გამარჯვებულთა სახელიმო დაჯილდოება მოეწყო, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მხოლოდ თბილისელებს ვხედავდით — ათივე უმაღლესი ხარისხის მედალი, დიპლომი და ფასიანი საჩუქარი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ხვდათ. აი ისინი: შ. გიგინოლაშვილი, თ. ჯაფარიძე, დ. მეგრელიშვილი, ო. ტატიშვილი, ბ. ლეკვეიშვილი, ბ. ჭელიძე, თ. ტყემალაძე, კ. ღუდუნიშვილი, თ. ქორციანიძე, შ. მორჩილაძე. ვერცხლის 9 მედალი სტუმრებს ხვდათ, 1 კი თბილისელ გოგნაძეს, ბრინჯაოსი — 7 სტუმრებს, 3—მასპინძლებს (სირბილაძე, ხანდოლიშვილი, გოგლიჩიძე). მოჭიდავეებს გადაეცათ აგრეთვე სპეციალური პრიზები.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა — თბილისი, ლატვია, უკრაინა.

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა მოსფლიოს სამგზის ჩემპიონმა ბ. პარტუზიმ ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— რა თქმა უნდა, ათივე წონაში გამარჯვება თავისთავად მეტყველებს თბილისელ მოჭიდავეთა დიდ წარმატებაზე. ისინი ხომ საქართველოს ნაკრების კანდიდატები არიან და უმრავლესობას სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ვიხილავთ. მაგრამ ამ წარმატებიდან ნაადრევი დასკვნის გამოტანა და თვითკმაყოფილება შეცდომა იქნებოდა. თბილისში მოჭიდავეები და მწვრთნელები სხვადასხვა რესპუბლიკიდან იმისათვის კი არ ჩამოვიდნენ, რომ აუცილებლად პირველი ადგილი აეღოთ, არამედ იმისათვის, რომ სათანადო წვრთნა მიეღოთ, მოესინჯათ ძალები, დაზვერვა მოეხდინათ. გამარჯვებულთაგან არავის გამოვყოფ, მართლაც პირველობის ღირსნი იყვნენ, მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არიან თავიანთ საუკეთესო ფორმაში.

ᲙᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲐᲜ

საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში ვაეთა გუნდებისათვის დასასრულს უახლოვდება.

ბუსინ თბილისის სპორტის სასახლეში ერთმანეთს შეხვდნენ რიგის ვეფ-ისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდები. წარმატება რიგელებს ხვდათ 87:81 (35:39).

კბერის ჩემპიონატის ლიდერს — ლენინგრადის „სპარტაკს“ მოსკოვში პაპერობა ჰქონდა დედაქალაქის დინამოელებთან და გაიმარჯვა 63:60.

ტარტუს „კალევისა“ და მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრაში წარმატება „კალევს“ ხვდა 88:65.

Ა. ᲥᲣᲜᲘᲠᲘ — Მ. ᲠᲐᲜᲘᲙᲘ

ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ ᲢᲝᲚᲘ ᲐᲠ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ

ᲙᲕᲘᲠᲐᲡ მოსკოვში დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში.

ამ შეჯიბრებაზე სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონს, ჩვენს თანამემამულეს ა. მეტრეველს ტოლი არ ჰყავდა—**მან აბსოლუტური პირველობა მოიპოვა.** ა. მეტრეველი ერთიულების ფინალში შეხვდა მოსკოველ ა. ვოლკოვს და გაიმარჯვა 3:6, 6:2, 6:4, 6:2. ა. მეტრეველი პირველი იყო აგრეთვე ყველა ერთიულების და შერეულ წყვილთა შორის. წყვილთა ასპარეზობაში მასთან ერთად გამოდიოდა ბაქოელი ს. ლიხაჩოვი, შერეულ წყვილებში — მოსკოველი ო. მოროზოვა.

ქალთა ერთიულების ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა **ო. მოროზოვა,** რომელმაც ფინალში მოუგო მ. კულს 6:1, 6:5. ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს მ. კროშინამ და ე. ბირიუკოვამ.

Მ. ᲝᲧᲠᲝᲨᲘᲫᲔ — ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ

ᲡᲝᲩᲘᲐᲨᲘ დამთავრდა ევროპის ტურნირი მძლეოსნობაში სტუდენტთა შორის. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ შეჯიბრებაზე 9 ოქროს მედალი მოიპოვეს. გამარჯვებულთა შორის არის თბილისელი ბირთვის მკვრელი მ. ოყროშიძე.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ** და სპორტის საკავშირო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ დამტკიცა 71 მსაჯის სია. ეს მსაჯები მოემსახურებიან „ა“ კლასის უმაღლესი და პირველი ჯგუფის გუნდების მატჩებს. არბიტრების სიაში არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — ვ. ბაქანიძე, ი. ბოჭორაძე, კ. ყრუაშვილი (თბილისი), ა. მილჩენკო (სოხუმი), ზ. თოდაძე (ქუთაისი).

● **ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ** „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა დაიწყო ტურნირი ავსტრალიაში. პირველი მატჩი დინამოელებს ჰქონდათ დასავლეთ ავსტრალიის შტატის ნაკრებთან და შეხვედრა ფრედ — 3:3 დაამთავრეს.

● **ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ** ჩემპიონთა თასის მფლობელმა შაიბიან ჰოკეისტმა — ცსკა-ს გუნდმა ორჯერ მოუგო (6:2, 6:4) შვეიცის „ბრიუნესს“ და ახალი გათამაშების ფინალში გავიდა.

● **ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ** პირველობის ორი ეტაპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო შვედმა მოტომრბოლმა ყინულზე კ. სამუელსონმა. ნახევარფინალის დასკვნითი ეტაპი შედგება 24 თებერვალს მოსკოვში.

● **ᲛᲫᲚᲝᲛᲣᲚᲐᲜᲗᲐ** მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე დამყარებულ იქნა სსრ კავშირის ორი ახალი რეკორდი (დახურულ შენობებში). მისი ავტორები არიან თბილისელი ლ. იეფლეევა (50 მეტრზე თარჯრბენში — 7 წამი) და ლვოველი ვ. პოპკოვა (400 მეტრზე რბენაში 54,5 წამი).

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲡᲢᲐᲠᲢᲘ—2 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ჩემპიონთან ბორის სპასკისთან მატჩის პრეტენდენტთა მეოთხეფინალური ორთაბრძოლები ჭადრაკში დაიწყება ორ მაისს. გათამაშდება ათ-ათი პარტია.

ეს განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ამტერდამიდან მოსკოვში ჩამოსულმა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პროფესორ მ. **ᲛᲐᲥᲡ ᲔᲘᲕᲘᲛ.**

— ძოლაპარაკებამ სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციასთან მთელი რიგი გადაუდებელი საკითხების შესახებ, განაცხადა ჰოლანდიელმა გროსმაისტერმა, ჩაიარა მეგობრულ გითარებაში, რაც დამახასიათებელია ჩვენი შეხვედრებისათვის. რა თქმა უნდა, ყურადღების ცენტრში იყო პრეტენდენტთა მომავალი ასპარეზობა საჭადრაკო გვირგვინისათვის.

როგორც წინათ იყო დათქმული, ვიქტორ კორჩნოისა და ეფიმ გელერის მატჩი გაიმართება სსრ კავშირში, მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანისა და რობერტ პიუბნერის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) მატჩი — ჰოლანდიაში. დანიელი პეტერ ლარსენისა და ვოლფგანგ ულმანის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მატჩის მოწყობა დაიგალა ესპანეთის საჭადრაკო ფედერაციას და ნავარაუდევია იგი მოეწყოს ლას-პალმასში (კანარის კუნძულებზე).

ჯერ კიდევ დაზუსტებული არ არის, თუ სად ითამაშებენ მარკ ტაიმანოვი და რობერტ ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები). ახლავენ სამ ვარიანტს — სსრ კავშირში, ჰოლანდიასა, ან ესპანეთში. საბოლოო შედეგს მიიღებენ არა უგვიანეს 19 მარტისა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ბიუროს სხდომაზე.

ქალთა მსოფლიო პირველობის მომავალ შეჯიბრებაზე ვრცელდება შერჩევის ახალი „ეიფთა პრინციპი“. თავდაპირველად წრიული სისტემით ეწყობა საზონთაშორისო ტურნირი, შემდეგ — ოლიმპიური სისტემით პრეტენდენტთა მატჩი.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დავალებით საზონთაშორისო ქალთა ტურნირს მოაწყობს იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაცია მაისში. 18 მონაწილეს შორის არის ხუთი საბჭოთა ოსტატი: ნანა ალექსანდრია (თბილისი), ტატიანა ზატულოვსკაია (ბაქო), ვალენტინა კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ელენე რუბეკოვა და ნატალია კონოპლიოვა (ორივე მოსკოვი). ტურნირის სამი პრიზიორი, ალა კუშნირთან ერთად, რომელმაც წინა მატჩი ეთამაშა მსოფლიო ჩემპიონს, ერთმანეთს შეხვდებიან ორ ნახევარფინალში. შემდეგ მათ შორის უძლიერესი შეხვდება ნონა გაფრინდაშვილს. (საკდესი).

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲛᲝᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘ

ᲨᲐᲠᲐ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ გარდაიცვალა ცნობილი საბჭოთა სამხედრო კომანდიერი, ... ვა ვასილის-ძე მაისურაძე. იგი დაიბადა ონის რაიონის სოფელ ცხმორში 1921 წელს. 1939 წელს ონის პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შ. მაისურაძე 1941 წლამდე მუშაობდა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. 1941 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, ხოლო 1942 წლიდან რიგიოდ ხელში იბრძოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

1944 წლიდან 1960 წლამდე შ. მაისურაძეს საბჭოთა არმიის რიგებში პარტიულ-პოლიტიკურ სამუშაოზეა. 1961 წლიდან მუშაობდა ახალციხის რაიონის სამხედრო კომისრად, ხოლო სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ზესტაფონის რაიონის სამხედრო კომისრად.

შ. მაისურაძე სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო საბჭოთა მთავრობის ორდენებითა და მედლებით.

შ. მაისურაძის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მახლობლების, ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲘᲐᲢᲘ.

ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲔᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ...

ᲐᲠᲘᲐᲜ ისეთი ადამიანები, რომლებიც დაეხეტებიან ქუჩებში, ეზოებში. უთვალთვალებენ ავტომანქანებს, როცა დროს იხელთებენ, გაალებენ მორგებული გასაღებით, მომართავენ და ადამდადმა დააკროლებენ. ზოგნი მოპარულ ავტომანქანას ქალაქგარეთ გაიყვანენ მიყრუებულ ადგილას და გაძარცვავენ. ხოლო ერთი კატეგორიის ხალხის მიერ გატაცებულ ავტომანქანებს, ჯადოსნურ სარკეში რომ ჩაიხედო, მაინც ვერ მოძებნი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, არ იცი.

ჩვენ არ გვაინტერესებს ავტომანქანის გამტაცებელთა რომელ კატეგორიას ეკუთვნის თბილისში სპარტაკის ქუჩა № 26 სახლში მცხოვრები გურგენ გიორგის-ძე სიმონიანი, ამას საგამომძებნელო ორგანოები დაადგენენ, მხოლოდ ის კი ნამდვილია, რომ მან საბჭოს ქუჩიდან ტრისტანა ვასილის-ძე ვარდანაშვილის ავტომანქანა გაიტაცა.

სალამო იყო. გურგენ სიმონიანი და წლოვანებით მასზე უმცროსი თბილისის 33-ე საშუალო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლე როალად გიორგის-ძე სარქისოვი დიდხანს დაწანწალებდნენ ქუჩებში. საბჭოს ქუჩაზე დაკეტილი „მოსკვიჩი“ შენიშნეს. პატრონი არსად ჩანდა. ქურდს რა უნდა და — ბნელი ღამეო. გახსნეს ავტომანქანის კარი, სავეს გ. სიმონიანი მიუჯდა. — გვერდით რ. სარქისოვი მოიხვა, მომართეს „მოსკვიჩი“ და გაქროლეს, გეზი ქალაქგარეთ აიღეს. ჯავახეთის ქუჩისა და კახეთის გზატკეცილის გადაკვეთაზე ავტომანქანის ქურდებმა დაარღვიეს მოძრაობის წესები და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს „ვოლგას“ შეასდნენ. ავტომანქანები დაიმსხვრნენ. რ. სარქისოვი და „ვოლგის“ მგზავრი საცხენისის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელი გენადი სურენის-ძე ცაგუაშვილი დაშავდნენ და საავადმყოფოში მოთავსეს.

Ბ. ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ Პ. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲘᲖᲘᲙᲘᲡᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1971-72 სასწავლო წლისათვის სპეციალობაში: ᲐᲠᲐᲠᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲠᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ — 1.

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთები მიიღება 15 მარტამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 20 მარტიდან.

ცნობების მიღება ასპირანტურაში შესვლის შესახებ შეიძლება ინსტიტუტის სამდივნოში (თბილისი, კამოს, 14. ტელ. 95-89-78).



ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ხვალ, 24 თებერვალს საკავშირო რადიოსა და ცენტრალური ტელევიზიის გადაცემათა დიდი ნაწილი საბჭოთა საქართველოს ეძღვნება.

საქართველოს სოფლის მშრომელთა მიღწევებსა და სასახელო საქმეებზე 7 საათსა და 30 წუთზე უამბობს მსმენელებს რადიოჟურნალი „მიწა და ადამიანები“.

10 საათსა და 15 წუთზე მოისმენთ რადიომოთხრობას „ნიკო პაპალაშვილს აკადემიაში მიეჩქარება“; გაეცნობით ჩვენი პლანეტის უხუცეს სტუდენტს ნიკო პაპალაშვილს, რომელიც იყალთოს სახალხო უნივერსიტეტში სწავლობს.

11 საათსა და 40 წუთზე გესაუბრებათ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ვლადიმერ ჯაფარიძე, იგი გაგაცნობთ მოსწავლეთა სამ ნარკვევს საერთო სათაურით „სიცოცხლე გრძელდება!“.

საქართველოს სსრ — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ

რადიონარკვევი „ᲮᲣᲗᲐᲚ ᲓᲔᲑᲘ ᲖᲔᲦᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲘᲐᲜ“ მოგვითხრობს გასულ ხუთწლედში საქართველოს საზღვაო ფლოტის ნაოსნობაზე, იგი ეთერში გადაიცემა 12 საათსა და 10 წუთზე, ხოლო 13 საათსა და 15 წუთზე გადაცემაში „ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲘ“ საქართველოს რადიოს კორესპონდენტები გაგვაცნობენ ჩვენი დღეების გმირებს — სოციალისტური შრომის გმირებს კონსტანტინე ილურიძეს, შოთა მოდებაძეს, ეთერ სოლომონიას, ცნობილ მეფოლადეს — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს უფროსს მოადგილეს შალვა კუხალეიშვილს, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ლამარა ბანეთიშვილს, მეშახტეთა ღირსეულ დინასტიას — სოფრომაძეების ოჯახს.

გადაიცემა აგრეთვე თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის ე. აფციაურის საუბარი „ᲐᲘᲛᲨᲘᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲜᲑᲐᲠᲓᲨᲘ“, ლიტერატურული ალმანახი „ᲪᲘᲡᲙᲐᲠᲘ“, საუბარი „ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲙᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲔᲑᲡ ᲐᲨᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲡ“, „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲘᲯᲐᲒᲣᲯᲘ“.

მრავალფეროვანია ჩვენი მუსიკალური გადაცემები. თქვენ გელით საინტერესო შეხვედრები ხელოვნების ოსტატებთან, მუსიკალურ ანალგაზრდობასთან, თვითმოქმედ კოლექტივებთან, ეთერში აეღერდება ქართველ კომპოზიტორთა ახალი კაშკარული ნაწარმოებები, საესტრადო სიმღერები და სხვ.

19 საათსა და 05 წუთზე თქვენი ტელევიზორების ცისფერ ეკრანებზე გაიშლება ჩვენი რესპუბლიკის მიღწევათა დიდებული პანორამა. გადაცემა „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲐᲑᲐᲨᲘᲡᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ XXIV ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ“ — ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა თავისებური პატაკია პარტიისა და მთავრობის წინაშე. ვფიქრობთ, რომ ამ გადაცემას სიამოვნებით უყურებენ ჩვენი თვალუწვდენი საამშობლოს ყველა კუთხეში, რადგან ეს არის ნაამბობი თქვენი გმირული საქმეების შესახებ, თქვენს მეგობრებზე, ამხანაგებზე, კოლეგებზე, ჩვენს მშობლიურ ქალაქებზე, სოფლებზე, საწარმოებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებზე.

მაშ ასე, გიწვევთ ხვალ ჩვენი გადაცემების მოსასმენად და სანახავად.

დღეს კი საქართველოს რადიოფესტივალი მოსკოვში გაიხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ნ. ცხაკაიას გამოსვლით. მისი საუბარი გადაიცემა საკავშირო რადიოს პირველი პროგრამით 20 საათსა და 20 წუთზე.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

23 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

11.15 — კინოპროგრამა, 12.15 — სატელევიზიო ფილმი „შეხვედრა თეატრის ოსტატებთან“ — ბაბოჩკინი, 18.10 — „ცანგალა და ჯოგონა“, 19.20 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 19.50 — დოკუმენტური ფილმი „გმირული 50 წელი“ (ქართულ ენაზე). 20.10 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი, მხატვრული ფილმი „განთავისუფლება“ (პირველი სერია), 22.05 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“.

24 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ

11.05 — კინონარკვევი, 11.45 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „განთავისუფლება“ (პირველი სერია), 13.15 — „ᲣᲧᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲒᲣᲚ!“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — „სკოლების დასახმარებლად“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — „ცერადღენას ეკრანი“, 18.25 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 19.05 — საბჭოთა რესპუბლიკების სატელევიზიო ფესტივალი, მიძღვნილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი. საქართველოს სსრ (გადაცემა ცენტრალ